# ი/მ "ბიორბი ტივაძე"

ს/კ 01021002814, tkeproeqti@gmail.com, მობ: 571 900030


## მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

**ქ.თბილისი** **30 ოქტომბერი 2022.**

**მისამართი:**

ქალაქი თბილისი, ბეშენოვას ქუჩა, N 20 **სკადასტრო**

**კოდი:**

01.12.21.001.179;

**ფართობი:**

9278.00 კვ.მ;

**მესაკუთრე:**

შპს „ენჯი და კომპანია“, ID ნომერი:400142573

საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასება/კვლევის მეთოდი:

საკვლევი ობიექტის რელიეფი ოდნავ დამრეცი ფერდია. ხე-მცენარეების აღწერა-შეფასება მოხდა ვიზუალური დათვალიერებით. საექსპერტო დასკვნას თან ახლავს არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

ცხრილი№ 1

| № | სახეობა | სასიცოცხლო ფორმა | D (ფს.ყ. 10სმ-ზე) | მცენარის ზოგადი მდგომარეობა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 317 | კურდღლისცოცხა (Genista fasselata) | ბუჩქი | 1.0-4.0 | ჯანსაღი | მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას |
| 333 | პირამიდული კვიპაროზი (Cupressus sempervirens) | ხე | 28 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |
| 391 | კურდღლისცოცხა (Genista fasselata) | ბუჩქი | 1.0-3.0 | ჯანსაღი | მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას |
| 392 | კურდღლისცოცხა (Genista fasselata) | ბუჩქი | 1.0-3.0 | ჯანსაღი | მრავალღეროიანი ექვემდებარება გადარგვას |
| 409 | კვიდო (Ligustrum vulgare) | ხე | 8 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |
| 410 | პირამიდული კვიპაროზი (Cupressus sempervirens) | ხე | 3 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |
| 411 | პირამიდული კვიპაროზი (Cupressus sempervirens) | ხე | 3 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |
| 412 | კვიპაროზი ჰორიზონტალური (Cupressus horizontalis) | ხე | 14 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |
| 413 | კვიპაროზი ჰორიზონტალური (Cupressus horizontalis) | ხე | 15 | ჯანსაღი | ექვემდებარება გადარგვას |

კერძოდ:

იხ.ცხრილი№1.

## 1.მარადმწვანე წიწვოვანი ხე-მცენარე 5 ძირი:

**2 ძირი** (№ 412 413) - კვიპაროზი ჰორიზონტალური (Cupressus horizontalis)

**3 ძირი** (№ 333 410 411) - პირამიდული კვიპაროზი (Cupressus sempervirens)

## 2. იაფი ღირებულების ფოთლოვანი სახეობის ხე-მცენარე 24 ძირი:

**1 ძირი** (№ 409) - კვიდო (Ligustrum vulgare)

## 3. იაფი ღირებულების ჯგუფის ბუჩქი 3 ძირი:

**3 ძირი** (№ 317 391 392) - კურდღლისცოცხა (Genista fasselata)

# 25 სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხე-მცენარეების გადარგვა

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში.

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20- 25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ნარგობის კომზე. კომსა და ორმოს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიანი ნიადაგის ნაზავით , რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ. სიღრმეზე, შემდეგ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილით ,რათა დარგვის დროს არ დაიშალოს მიწის კომი. არ დაზიანდეს მცენარის ღერო , ფესვთასისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს დაფიქსირება რამოდენიმე მხრიდან , რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა სრულ გაჯირჯვებამდე.

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდა იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ მაისიდან სექტემბრის ჩათვლით უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისთვის წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს ( მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) . მორწყვის საუკეთესო დროა დილით 11-12 საათამდე და საღამოს 8 საათის შემდეგ.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა განახლდეს სარწყავი ჯამები, მოხდეს მიწის გაფხვიერება , სარეველა ბალახებისგან გაწმენდა. ფოთლოვანი ხის შემთხვევაში ფესვის ყელიდან ამონაყრის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეზე დავადებების და მავნებლების წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებები სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე ,(ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს მცენარის დარგვიდან მესამე წელს.(შესატანი სასუქების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად) დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

**რაც შეეხება 25სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარეებს ითვლება მაღალი ტანის ეგზემპლარებს, რომელთა გადარგვას ჭირდება სპეციფიკური მეთოდოლოგიის შემუშავება**

ექსპერტი: გიორგი ტივაძე










A-3
A-9
943.62 m²
197.68 m²
252.14 m²
303.04 m²
264.91 m
220.30 m²
338.26 m²
1,924.08 m²
99.07 m²
44.27 m²
73.13 m²
659.34 m²
01.12.2100179
01.12.2100134
m=57.49m
m163.41m
8.8.
8.8.
8.8.